განკარგულება:**გ-49. 49230557**
თარიღი:**24/02/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №28

ქალაქ წყალტუბოში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩის I შესახვევი, №1-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1368 კვ. მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი # 29.08.31. 525) და მასზე განთავსებული შენობა- ნაგებობის (საერთო ფართი 341.8 კვ.მ.) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 21 თებერვლის 48-4823052126 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას მოქალაქე ავთანდილ ჭიქავას უძრავი ქონების მოწესრიგების, მოვლა-პატრონობისა და სპორტულგამაჯანსაღებელი სივრცის მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით ქალაქ წყალტუბოში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩის I შესახვევი, N1-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1368 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი N29.08.31.525) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი-341.8კვ.მ.) გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩის I შესახვევი, №1-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1368 კვ. მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის(საკ. კოდი # 29.08.31. 525 და მასზე) განთავსებული შენობა- ნაგებობის (საერთო ფართი 341.8 კვ.მ.) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით მოქალაქე ავთანდილ ჭიქავასთვის გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი